

2015-2016 წლებში ქ. თბილისში პროსტატის კიბოთი ავადობისა და სკრინინგის თავისებურებანი მარი თვალიაშვილი¹, თამარ ლობჯანიძე², ვასილ ტყემელაშვილი³

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

¹სტუდენტი ბაკალავრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; ²ხელმძღვანელი, სკოლის დირექტორი;

³ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

GLOBOCAN/IARC (2012) მონაცემებით მსოფლიოში პროსტატის კიბოთი ყოველწლიურად ავადდება 1.1 მილიონი და ამავე მიზეზით გარდაიცვლება 307,000 მამაკაცი. ჩვენს მიერ ჩატარდა დესკრიპტული ეპიდემიოლოგიური კვლევა. 2015-2016 წლებში თბილისში ყოველ 100,000 მამაკაცზე პროსტატის კიბოთი ყოველწლიურად ავადდებოდა, უხეში მაჩვენებლის მიხედვით, 35 მამაკაცი, ხოლო ASR-ით - 27.3. აი-ს მიხედვით პროსტატის კიბოთი ავადობის სიხშირე 55-59 წლის ასაკიდან მკვეთრად მატულობს და აღწევს პიკურ დონეებს 75-79 ასაკობრივ ჯგუფში (299.3-301.7). დადგენილი იქნა, რომ SRR-ით თბილისში პროსტატის კიბოთი ავადობის დონე 2.4-ჯერ დაბალია ევროპის ქალაქებში რეგისტრირებული ავადობის საშუალო დონესთან (65.0) შედარებით. ამავე დროს, თბილისში პროსტატის კიბოთი ავადობის დონე 3.3-ჯერ დაბალია ევროპაში ავადობის პიკურ დონესთან შედარებით, რომელიც დაფიქსირდა იტალიის ქ.მოდენაში (89.3) და 3-ჯერ დაბალი-მიუნხენთან შედარებით (82.5). თბილისში პროსტატის კიბოთი ავადობის სიხშირე 1.4-ჯერ დაბალი იყო ევროპაში ამ ლოკალიზაციის კიბოთი ავადობის ყველაზე დაბალ დონესთან შედარებით, რომელიც რეგისტრირებულ იქნა იტალიის ქ.ნეაპოლში (37.5). თბილისის ანალოგიური სიხშირე დაფიქსირდა ქ.ტრაპანოში (27.3). TASR-ის მიხედვით 2015-2016 წლებში თბილისში 50-69 წლის ასაკობრივ პერიოდში ყოველ 100 000 მამაკაცზე პროსტატის კიბოთი ყოველწლიურად ავადდებოდა 100 მამაკაცი, 55-79 წლის ასაკობრივ პერიოდში-173, ხოლო 60-79 წლის ასაკობრივ პერიოდში-225. TSRR-ის მიხედვით 50-69 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით 55-79 წლის ასაკობრივ ჯგუფში პროსტატის კიბოთი ავადობა მაღალია 1.7-ჯერ, ხოლო 60-79 წლის ასაკობრივ ჯგუფში-2.3-ჯერ. RF-ის მიხედვით 50-69 წლის ასაკობრივ პერიოდში ვლინდება პროსტატის კიბოს შემთხვევების 53.1%, 55-79 წლის ასაკობრივ პერიოდში-87.7%, ხოლო 60-79 წლის ასაკობრივ პერიოდში-80.9%. PSA სკრინინგით მოსარგებლე მამაკაცების ჯგუფში შედარებით მაღალია პროსტატის კიბოს შემთხვევების გამოვლენა I-II კლინიკურ სტადიებში (52.6%). დადგენილი იქნა, რომ თბილისის მამაკაცთა მოსახლეობის 50-69 წლის ასაკობრივი ჯგუფის 50% PSA სკრინინგით მოცვის შემთხვევაში პროგრამის ღირებულება იქნება 572,703.30 ლ, ხოლო 70% მოცვისას 631,089.90 ლ. 55-79 წლის ასაკობრივი ჯგუფის 50%-ის სკრინინგით მოცვის შემთხვევაში პროგრამის ღირებულება შეადგენს 402,606 ლ, ხოლო 70% მოცვისას-563,648.00 ლ. 60-79 წლის ასაკობრივი ჯგუფის 50% სკრინინგით მოცვის შემთხვევაში პროგრამის ღირებულება 289,827 ლ, ხოლო 70% მოცვისას 405,757.80 ლ. დადგენილი იქნა PSA სკრინინგით მოცვის ყველაზე ხარჯთ-ეფექტური ასაკობრივი ჯგუფი: 60-79 წლები, რომელშიც ვლინდება პროსტატის კიბოს შემთხვევათა 27.8%-ით მეტი და რომლის 50% და 70% -ს სკრინინგით მოცვის შემთხვევაში დაიზოგება, შესაბამისად 282,876.30 ლ და 225,332.10 ლ, 50-69 წლის ასაკობრივი ჯგუფის ანალოგიური მოცულობით მოცვებთან შედარებით. პროსტატის კიბოს სკრინინგ-პროგრამის ხარჯთ-ეფექტურობისა და სერვისის მიწოდების ხარისხის გაზრდის მიზნით რეკომენდებულია: პროგრამის გაიდლაინში ცვლილებების შეტანა და 50-70 წლის ასაკობრივი ჯგუფის ნაცვლად PSA სკრინინგის ჩატარება 60-79 წლის ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცებში; უსიმპტომო მამაკაცებში განმეორებითი PSA ტესტირება ორ წელიწადში ერთხელ; მონაცემთა ელექტრონული ბაზის ხარისხის გაუმჯობესება, კიბოს კლინიკური სტადიებისა და სკრინინგ-პროგრამაში პაციენტთა მონაწილეობის შემთხვევების რეგისტრირება; PSA სკრინინგით მამაკაცთა სამიზნე ჯგუფის მოცვის გაზრდა.

აბრევიატურა: IARC-კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტო; ASR-წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებელი, TASR-შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებელი, აი-ასაკისთვის სპეციფიური სიხშირის მაჩვენებელი, SRR-სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდება, TSRR- შეკვეცილი სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდება, RF -შეფარდებითი სიხშირის მაჩვენებელი, PSA-პროსტატ-სპეციფიკური ანტიგენი.

საკვანძო სიტყვები: პროსტატის კიბო, PSA სკრინინგი, თბილისი.